საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის
საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

23/06/2022
N 1050

1050-09-02-11-3-202206231426

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის
თავმჯდომარეს ქალბატონ **მარინე გვიანიძეს**

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (09-08-08/31, 20.06.2022)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტმა 2022 წლის 23 ივნისის სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 123-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2022 წლის 21 ივნისის №40 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში განიხილა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/31, 20.06.2022).

განხილვის შედეგად, კომიტეტმა მომზადებულად მიიჩნია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და მხარი დაუჭირა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურების გაგრძელებას.

პატივისცემით,

ფრიდონ ფუტკარაძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის
საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

23/06/2022
N 1061

1061-09-02-11-3-202206231717

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის

თავმჯდომარეს **ქალბატონ მარინე გვიანიძეს**

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N09-01-08/31,20.06.2022წ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტებმა 2022 წლის 23 ივნისის ერთობლივ სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის და 123-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2022 წლის 21 ივნისის #40 გადაწყვეტილების საფუძველზე განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/31, 20.06.2022წ).

განხილვის შემდგომ უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის შესაბამისად, ხმათა უმრავლესობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ცნობილ იქნა უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

პატივისცემით,

ცოტნე ანანიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

23/06/2022
N 1057

1057-09-02-11-3-202206231632

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ მარინე გვიანიძეს

დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის წევრებმა 2022 წლის 23 ივნისის სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 123- ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადებში, განიხილეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/31, 20.06.2022).

განხილვის შედეგად, კომიტეტის სხდომაზე დაისვა საკითხი:

გაიზარდოს თანხები სასკოლო კლუბების ინიციატივების დასაფინანსებლად, რომელიც მიმართული იქნება საჯარო სკოლებში ბიბლიოთეკების განვითარებისა და წიგნის პოპულარიზაციაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

დავით ბაციკაძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

23/06/2022
N 1058

1058-09-02-11-3-202206231640

ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის
თავმჯდომარეს ქალბატონ მარინე გვიანიძეს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N09-01-08/31, 20.06.2022წ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების 2022 წლის 23 ივნისის ერთობლივ სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და 123-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2022 წლის 21 ივნისის №40 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში განიხილა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/31, 20.06.2022წ).

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხმათა უმრავლესობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველად გატანას.

პატივისცემით,

ილია ვერძაძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

23/06/2022
N 1046

1046-09-02-11-3-202206231152

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ **მარინე გვიანიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/31, 20.06.2022)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტების 2022 წლის 23 ივნისის ერთობლივ სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 123-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2022 წლის 21 ივნისის №40 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში განიხილა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/31, 20.06.2022).

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვის პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების (დავით გაბაიძე, მარინე გვიანიძე, ფრიდონ ფუტკარაძე, დავით ბაციკაძე, ცოტნე ანანიძე, ილია ვერძაძე, ტიტე არაშიძე) მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ინიციირებული და განხილვის სტადიაში მყოფი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/29, 19.05.2022).

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის თანახმად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ საარჩევნო კომისიებში (უსკო, საოლქო საარჩევნო კომისია, საუბნო საარჩევნო კომისია) წევრთა იგივე რაოდენობის განსაზღვრა ხდება, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული საარჩევნო კომისიებისთვის (ცესკო, საოლქო საარჩევნო კომისია, საუბნო საარჩევნო კომისია). ამის პარალელურად პროექტით გათვალისწინებულია უსკოს პროფესიული ნიშნით დასაკომპლექტებელ - მუდმივ წევრთა 2-ით გაზრდა, როგორც საარჩევნო, ასევე არასაარჩევნო პერიოდში.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განსახორციელებელი ცვლილება გავლენას ახდენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, მათ შორის იწვევს უსკოს საშტატო რიცხოვნობის ზრდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით, საკანონმდებლო პაკეტი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2022 წლის 24 მაისის №09-02-16/263 წერილით წარდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ 2022 წლის 8 ივნისის №3349/02 საპასუხო წერილით თანხმობა განაცხადა საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესაბამის მუხლებში მიზანშეწონილია განხორციელდეს შესაბამისი კორექტირებები, რასაც იწვევს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განსახორციელებელი ცვლილებები.

2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-5 პუნქტი იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები თანახმად დანართისა.“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,
ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

22/06/2022
N 1041

1041-09-02-11-3-202206221559

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ მარინე გვიანიძეს

დასკვნა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ

(N09-01-08/31, 20.06.2022 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 87-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2022 წლის 21 ივნისის N40 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში, განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მის მიმართ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,
ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი